საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი
მათემატიკის დეპარტამენტი

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N2

ქ. ბათუმი 21 თებერვალი, 2024 წელი

სხდომას ესწრებიან:

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 16 თებერვლის N 01-02/21 ბრძანების დანართი 3 განსაზღვრული კომისიის წევრები:

დალი მახარაძე - პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
ონისე სურმანიძე - პროფესორი (კომისიის წევრი);
ნინო სვანიძე - ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი).

დღის წესრიგი

2023-2024 სასწავლო წლისათვის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტში უმაღლესი მათემატიკის, ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის მიმართულებით - 2024 წლის 16 თებერვლის N 01-02/21 ბრძანებით გამოცხადებული მოსაწვევი პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კონკურსანტებთან გასაუბრება კომისიის სხდომის #1 ოქმში აღნიშნული განრიგის მიხედვით.

მოისმინეს:
1. საკონკურსო კომისიის მდივნის ნინო სვანიძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მის მიერ სატელეფონო საშუალებით ინფორმირებული იყო კონკურსის მონაწილე, და ისინი გამოცხადდნენ გასაუბრებაზე. სხდომას ესწრება კომისიის ყველა წევრი, შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია გასაუბრება ჩაატაროს განრიგის მიხედვით.

2. კომისიის მიერ კონკურსანტებთან გასაუბრების შემდეგ, კომისიის წევრებმა აზრი გამოთქვეს:
ონისე სურმანიძემ აღნიშნა, რომ მისასალმებელია კონკურსანტების მიერ გამოვლენილი მაღალი აკადემიური დონე და მათი სურვილი მაქსიმალურად ჩაერთონ ბსუ-ს სასწავლო პროცესში.

დალი მახარაძემ აღნიშნა, რომ ახალგაზრდა სპეციალისტების მიღება ზუსტ მეცნიერე-ბათა და განათლების ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტში ხელს შეუწყობს ახალი გამოწვევების წარმატებით დაძლევას.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა კონკურსანტების შერჩევის საკითხი.

საკონკურსო კომისიის წევრებმა ღია კენჭისყრით ერთხმად დაადგინეს:
1. გამოვლენილი მაღალი აკადემიური ცოდნის საფუძველზე მიეცეს შეფასება „მაღალი“ - კონკურსის შემდეგ მონაწილეს:

1. თამუნა გორგაძე
2. გიორგი ვადაჭკორია

2. მიღებულ იქნას გადაწყვეტილება, კონკურსის შედეგად საათობრივი ანაზღაურების წესით სამუშაოს შესრულებისათვის მოწვევის თაობაზე:

1. თამუნა გორგაძე - 60 სთ
2. გიორგი ვადაჭკორია - 78 სთ

3. აღნიშნული საოქმო გადაწყვეტილება გაეგზავნოს ბსუ-ს კანცელარიას, ხოლო ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისათვის - ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს (web@bsu.edu.ge).

კომისიის წევრები:

კომისიის წევრები:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი: დალი მახარაძე

კომისიის მდივანი, ასოც. პროფესორი: ნინო სვანიძე

წევრი, პროფესორი: ონისე სურმანიძე